

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №155  
2012 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების სახეები, ვადები, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობები და გადახდის წესი“.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრის  
მოვალეობის შემსრულებელი

გრიგოლ ვაშაძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების სახეები, ვადები, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობა და გადახდის წესი**

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების სახეები, ვადები, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობა და გადახდის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) მიერ გაწეული მომსახურების სახეებს, ვადებს, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობასა და გადახდის პირობებს.

## მუხლი 2. ბიუროს მიერ მომსახურების განხორციელება და მისთვის დადგენილი საფასური

1. სახელმწიფო ორგანოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათთან გათანაბრებული დაწესებულებების დაკვეთის საფუძველზე ბიურო ახორციელებს შემდეგ მომსახურებას:

- ა) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების/დოკუმენტების პროექტების (შემდგომში – დოკუმენტი) თარგმნას და ოფიციალურ დამოწმებას;
- ბ) დოკუმენტის თარგმანის რედაქტირებას და ოფიციალურ დამოწმებას;
- გ) თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფას (სინქრონული თარგმანი და სხვა სახის მომსახურება);
- დ) სინქრონული აპარატურით მომსახურებას;
- ე) ვიდეო და აუდიო დოკუმენტების თარგმნა და ოფიციალურად დამოწმებას;
- ვ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმანის კორექტირებას და კორექტირებული თარგმანის დამოწმებას „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ამ ბრძანების დანართით განისაზღვრება: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ, აგრეთვე აფხაზურ ენებთან დაკავშირებით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების ვადები და საფასურის ოდენობა.

3. იმ უცხო ენებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-2 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით, ერთი გვერდისათვის ამ ბრძანების დანართით შესაბამისი მომსახურებისათვის განსაზღვრული ოდენობიდან 100-ლარამდე ოდენობის ფარგლებში.



4. ყველა უცხო ენაზე ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, 1 საათში გაწეული მომსახურებისათვის 400-ლარამდე ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, ვიდეო ან აუდიო დოკუმენტის ყოველ წუთზე 50-ლარამდე ოდენობით.

7. ბიუროს მიერ ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია მიწოდებულ იქნეს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმით.

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 მარტის ბრძანება N01-50 - ვებგვერდი, 05.03.2015წ.*

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01-37 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.*

### **მუხლი 3. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება**

1. მომსახურების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება.

2. ბიურო უსასყიდლოდ უწევს მომსახურებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01-37 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.*

### **მუხლი 4. დოკუმენტის მოცულობის განსაზღვრის წესი**

1. გვერდების რაოდენობა იანგარიშება ნათარგმნი დოკუმენტის თითოეული გვერდის მიხედვით, არასრული გვერდი ჩაითვლება ერთ გვერდად.

2. ერთი გვერდის მოცულობად ჩაითვლება 1800 საბეჭდი სიმბოლო (მათ შორის, სასვენი ნიშნებისა და ინტერვალების ჩათვლით).

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №01-26 - ვებგვერდი, 20.02.2014წ.*

### **მუხლი 5. საფასურის გადახდის წესი და პირობები**

1. მომსახურების საფასურის გადახდის პირობები განისაზღვრება დამკვეთსა და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს ამ წესით დადგენილი მომსახურების ვადისა და შესაბამისი საფასურის ოდენობის გათვალისწინებით.

3. ამ წესით დადგენილი მომსახურების საფასური გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

4. ბიუროს მომსახურებისათვის საფასურის ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე.

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 მარტის ბრძანება N01-50 - ვებგვერდი, 05.03.2015წ.*

### **მუხლი 6. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი**

1. თუ საფასური გადახდილია წინასწარ, დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ განაკვეთს შორის.

2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) ბიურო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დამკვეთი მომსახურების დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურებაზე;

გ) ბიურომ მომსახურება არ განახორციელა დადგენილ ვადაში.

3. გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში. განცხადება უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მას თან უნდა ერთოდეს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**დანართი**

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის (დღგ-ის გარეშე)



1	1-დან 15-გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	25ლარი
2	16-დან 50-გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	30 სამუშაო დღე	23 ლარი
3	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	23 ლარი
4	დოკუმენტის აფხაზური ენიდან და აფხაზურ ენაზე თარგმნა	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	33 ლარი
5	1-დან 50-გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმნის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	5 ლარი
6	50- გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	12.5 ლარი

ქართული ენიდან უცხო/აფხაზურ ენაზე თარგმნის/რედაქტირებისას დოკუმენტის მოცულობის განსაზღვრის წესი და მომსახურების საფასური იდენტურია იმ შემთხვევისა, როდესაც თარგმნა/რედაქტირება ხორციელდება უცხო/აფხაზური ენიდან ქართულ ენაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №194 - ვებგვერდი, 10.09.2013წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №01-26 - ვებგვერდი, 20.02.2014წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 მარტის ბრძანება N01-50 - ვებგვერდი, 05.03.2015წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01-37 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

